საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030104064926214

№ 01-312/ო 03 / დეკემბერი / 2014 წ.

C ჰეპატიტის ელიმინაციის სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, მე–5 მუხლის მე–2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, მე–19 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ქვეყანაში C ჰეპატიტის ელიმინაციის მიზნით სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განხორციელების უზრუნველსაყოფად,

ვბრძანებ:

1. C ჰეპატიტის ელიმინაციის სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი (შემდგომში - სამუშაო ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

ა)	ვალერი კვარაცხელია	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;
ბ)	ამირან გამყრელიძე	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული – სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
გ)	თეა ჯიქია	სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული – სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
დ)	ეკატერინე ადამია	სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და პროგრამების სამმართველოს შტატგარეშე მუშაკი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ე)	ანა კასრაძე	სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული – სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ვ)	თენგიზ ცერცვაძე	სსს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრი“-ს გენერალური დირექტორი;

ზ)	ლალი შარვაძე	ექიმი - ინფექციონისტი, შპს ქართულ-ფრანგული ერთობლივი ჰეპატოლოგიური კლინიკა ,,ჰეპა";
თ)	ვახტანგ ქერაშვილი	ექიმი - ინფექციონისტი, სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრი", ვირუსული ჰეპატიტების განყოფილების გამგე;
ი)	მაია ბუწაშვილი	ექიმი - ინფექციონისტი, შპს ,,კამკამიძე და პარტნიორები"-ნეოლაბი;
კ)	ჯულიეტ მორგანი	ატლანტა CDC -ს საქართველოს ოფისის წარმომადგენელი;
ლ)	პაატა საბელაშვილი	ა(ა)იპ „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის" პროექტების მენეჯერი;
მ)	მარი ჩოხელი	ფონდი ,,ღია საზოგადოება საქართველო", ზიანის შემცირების პროგრამის კოორდინატორი.

2. სამუშაო ჯგუფს დაევალოს:

ა) C ჰეპატიტის მიმართულებით კოორდინაცია გაუწიოს ქვეყანაში მიმდინარე ღონისძიებებს;

ბ) C ჰეპატიტის ელიმინაციის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დასამტკიცებლად წინადადებები და რეკომენდაციები წარუდგინოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს;

გ) C ჰეპატიტის პროგრამის ეფექტური განხორციელებისათვის უზრუნველყოს საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა, მათ შორის, ანტივირუსული მედიკამენტების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად.

3. სამუშაო ჯგუფის შეხვედრები გაიმართოს საჭიროებისამებრ.

4. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი:

ა) იწვევს და წარმართავს სამუშაო ჯგუფის სხდომებს;

ბ) განსაზღვრავს სამუშაო ჯგუფის მუშაობის განრიგს;

გ) უძღვება სამუშაო ჯგუფის საქმიანობას;

დ) საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრავს სამუშაო ჯგუფის წევრისთვის შესასრულებელ კონკრეტულ ამოცანებს;

ე) უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის მისაღებად დამატებით მოიწვიოს სხვა პირებიც.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,C ჰეპატიტის ელიმინაციის სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 15 მაისის N01-112/ო ბრძანება.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი დავით სერგეენკო